საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 8 22 00840999

31/03/2022

ა(ა)იპ "საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
FactCheck.ge რედაქტორ მალხაზ რეხვიაშვილის

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
teonaabsanzde@gmail.com

ბატონო მალხაზ,

2022 წლის №12 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გაცნობებთ, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან - 20 მარტის ჩათვლით პერიოდში, საქართველოში საერთაშორისო დაცვა მოითხოვა უკრაინის - 49 მოქალაქემ. ხოლო, 2022 წლის 24 თებერვლიდან - 20 მარტის ჩათვლით პერიოდში, უკრაინის არცერთ მოქალაქეს არ მინიჭებია საერთაშორისო დაცვა (ლტოლვილის სტატუსი, ჰუმანიტარული სტატუსი, დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი). ამჟამად, ზემოაღნიშნულ პირებთან მიმართებით, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში მიმდინარეობს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურები.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება განხორციელდა ერთჯერადად.

აქვე, გაცნობებთ, რომ წერილით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, პასუხი გეცნობათ სამინისტროს 2022 წლის 28 მარტის № 803898 წერილით.

პატივისცემით,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
ქეთევან ტყეშელაშვილი